

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

საქართველოს პოლიტიკური კრიზისი: პოლარიზაციის აქტორები და ინსტრუმენტები

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი No 123, სექტემბერი 2021

სარჩევი

- საქართველოს პოლიტიკური კრიზისი: პოლარიზაციის აქტორები და ინსტრუმენტები 3
დოქტორი შტეფან მაისტერი
(გერმანიის სავარგო ურთიერთობათა საბჭო (DGAP))
- ულტრამემარჯვენე მოძრაობა საქართველოში და არჩევნების შემდგომი კრიზისი 4
თამთა გელაშვილი
(ოსლოს უნივერსიტეტი და ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი)
- პოლიტიკური რადიკალიზაცია საქართველოში: მართლმადიდებელი ეკლესიის როლი 10
სალომე კანდელაკი
(საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი)
- ქართული მეინსტრიმული მედია პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში:
მსხვერპლი და თანამზრახველი 17
ლაშა ქავთარაძე
(ბერგენის უნივერსიტეტი და კრისტიანის საუნივერსიტეტო კოლეჯი)

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის ამ გამოცემაში შესული სტატიები თავდაპირველად ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა
<https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD123.pdf>.

სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდნენ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

საქართველოს პოლიტიკური კრიზისი: პოლარიზაციის აქტორები და ინსტრუმენტები

შესავლის ავტორი: დოქტორი შტეფან მაისტერი, გერმანიის საგარეო ურთიერთობათა საბჭო (DGAP)

პოლარიზაცია ქართული პოლიტიკის საკვანძო მახასიათებელია. 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველო ღრმა პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდა: წარმოიქმნა ჩიხი მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ პარტიათა სპექტრს შორის, რომელსაც სათავეში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ედგა. სხვებულმა არჩევნებმა ქვეყანა პოლიტიკური პოლარიზაციის ახალ ნიშნულთან მიიყვანა. არჩევნებამდე, არჩევნების თანადროული და არჩევნების შემდგომი პოლიტიკური დაძაბულობები უკომპრომისობით, ნულოვანჯამოვანი მიდგომითა და მყარი ინსტიტუტების გარეშე დარჩენილი, ძლიერ პერსონალიზებული პოლიტიკური სისტემით გამორჩეულ პოლიტიკურ კულტურას დაუკავშირეს. ორივე წამყვანი პარტია – „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – პოლარიზაციის ამ პროცესით თავადაა დაინტერესებული, რამდენადაც ეს მათ ელექტორატის მობილიზებაში ეხმარება და კონკურენტ პარტიებს სამოქმედო სივრცეს აღარ უტოვებს. 2021 წლის გაზაფხულზე მიღწეული შეთანხმებით, რომელსაც მედიაციას ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები უწევდნენ, ეს კონფლიქტი არ დასრულებულა. პირიქით, ორივე ზემოხსენებული პარტია საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური აქტორების მხრიდან მზარდი კრიტიკის ადრესატად იქცა.

2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ გარშემო განვითარებული ძალადობრივი მოვლენები ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური სივრცის მზარდი რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის პროცესში ახალ ეტაპს გვაუწყებს. პოლარიზაციის ამ პროცესის საკვანძო აქტორებად და ინსტრუმენტებად მემარჯვენე ჯგუფები, მედია და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გვევლინებიან. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის ამ ნომერში ყურადღება სწორედ ამ აქტორებს დაეთმობა – აქტორებს, რომლებიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ველზე პოლარიზაციას კიდევ უფრო ამძაფრებენ. სამივე მათგანი ამ პროცესის ინსტრუმენტებად და, ამავდროულად, აქტორებად შეგვიძლია მოვიხაროთ. ისინი ერთმანეთს აძლიერებენ და ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. მათ მხოლოდ პოლიტიკური ელიტების ინსტრუმენტებად ვერ განვიხილავთ. როგორც აქტორები, ისინი ერთმანეთთან, მმართველ პარტიასა და ძირითად ოპოზიციურ ძალებთან მუდმივ ინტერაქციაში მოქმედებენ. კონკრეტულად „თბილისი პრაიდის“ კონტექსტში შეგვიძლია დავაკვირდეთ ინტერაქციას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მემარჯვენე ჯგუფებსა და მემარჯვენე მედიას შორის. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ ელიტებსა და მთავრობას ძალადობის ალკვეთის ინტერესი არ გამოუთქვამთ. ნაცვლად ამისა, მათ ძალადობა საკუთარი მხარდამჭერების მობილიზაციისა და რადიკალიზაციისთვის გამოიყენეს. შედეგად, პოლარიზაცია კვლავინდებურად ინარჩუნებს საკვანძო ფუნქციას ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და, ჩანს, მომავალშიც განაგრძობს როგორც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მოდერნიზაციის, ისე დემოკრატიზაციის პროცესების შეფერხებას.

დოქტორი შტეფან მაისტერი, პროგრამის „საერთაშორისო წესრიგი და დემოკრატია“ ხელმძღვანელი; გერმანიის საგარეო ურთიერთობათა საბჭო (DGAP); ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი.

ულტრამემარჯვენე მოძრაობა საქართველოში და არჩევნების შედეგოში კრიზისი

თამთა გელაშვილი

(ოსლოს უნივერსიტეტი და ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი)

DOI: 10.3929/ethz-b-000507160

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია განიხილავს ულტრამემარჯვენე მოძრაობის როლს პოლიტიკურ პოლარიზაციაში. ქართულ პოლიტიკაში პოლარიზაცია ახალი არ არის, თუმცა 2020 წლის არჩევნების შემდეგ ის განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. ერთი მხრივ, პოლარიზაცია ზღუდავს პოლიტიკურ სივრცეს ისე, რომ ახალი აქტორებისათვის, მათ შორის, ულტრამემარჯვენე მოძრაობებისათვის, ადგილი თითქმის არ რჩება. უკიდურესად პოლარიზებულ პოლიტიკურ სივრცეში ადგილის დაკავება ერთიან ალტერნატიულ ძალას მოითხოვს. ქართული ულტრამემარჯვენე მოძრაობა კი ამ დრომდე ფრაგმენტულია, რაც მას მმართველი პარტიის, „ქართული ოცნებისა“ თუ ოპოზიციის რეალურ ალტერნატივად ჩამოყალიბებაში ხელს უშლის. მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე მოძრაობა თავადაც ახდენს გავლენას პოლარიზაციაზე: კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები ხშირად პოლარიზაციის გასაღრმავებელ ინსტრუმენტებად იქცევიან. მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობა, ერთი შეხედვით, პოლარიზებული პოლიტიკური სივრცის ერთი მხარის სასარგებლოდაა მიმართული, წინამდებარე სტატია ამტკიცებს, რომ ეს მოძრაობა საქართველოში მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ინსტრუმენტამდე არ უნდა დავიყვანოთ.

შესავალი

დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან, პოლიტიკური პოლარიზაცია ქართული პოლიტიკის მუდმივ მახასიათებლად ჩამოყალიბდა. 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი მან განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია. არჩევნების შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში, ოპოზიცია პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებდა და „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბებასა და ერთპარტიული მმართველობის ჩამოყალიბებაში სდებდა ბრალს. საპასუხოდ, „ქართული ოცნება“ მას ქვეყნის დესტაბილიზაციასა და ნორმალური პოლიტიკური პროცესების ხელშეშლაში ადანაშაულებდა.

„ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (ენმ) შორის უკიდურესი პოლარიზაცია, ბუნებრივია, ზღუდავს პოლიტიკურ სივრცეს პოტენციური ახალი პარტიებისა თუ მცირე ზომის აქტორებისათვის. მათ შორის არიან ულტრამემარჯვენე პარტიებიც, რომლებიც ინსტიტუციურ პოლიტიკაში მონაწილეობის მიზნით, პარტიების სახით 2020 წლის არჩევნების წინ დარეგისტრირდნენ. თუმცა, იმის გამო, რომ ხმების უმრავლესობა „ქართულ ოცნებასა“ და ენმ-ზე გადასწავილდა, ულტრამემარჯვენე პარტიების იმედები არ გამართლდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მცირე ზომის პარტიებმა მაინც მოახერხეს პარლამენტში შესასვლელად საკმარისი ხმების მიღება.

ამდენად, პოლიტიკური პოლარიზაცია ულტრა-

მემარჯვენე მოძრაობის წარმატებაზე გავლენას ახდენს. თუმცა, ულტრამემარჯვენე მოძრაობები თავადაც იქცევიან ინსტრუმენტებად პოლარიზაციის გაღრმავების პროცესში. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ულტრამემარჯვენე მოძრაობის საქმიანობა ხშირად ემსახურება მმართველი პარტიის ინტერესებს.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს პოლიტიკურ პოლარიზაციაში ულტრამემარჯვენე მოძრაობის როლის განხილვას. საქართველოში არსებული პოლარიზაციის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, სტატია განიხილავს პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენას ულტრამემარჯვენე მოძრაობებზე, ისევე როგორც ამ უკანასკნელის როლს პოლარიზაციის გაღრმავების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობა, ერთი შეხედვით, ერთ-ერთი პოლიტიკური მხარის სასარგებლოდაა მიმართული, სტატია ამტკიცებს, რომ ეს მოძრაობა საქართველოში მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ინსტრუმენტამდე არ უნდა დავიყვანოთ.

პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველო ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პოლარიზებულ ქვეყნად იქცა. თუმცა, ბევრი ევროპული ქვეყნისაგან განსხვავებით, საქართველოში პოლარიზაცია იდეოლოგიურ

განსხვავებებს არ ეფუძნება: პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერს ბაზრის ხელშეწყობაზე მორგებულ პოლიტიკასა და ევროატლანტიკური ორგანიზაციებისკენ სწრაფვას (Nodia and Scholtbach 2006; Casal Bértoa 2017). ამის ნაცვლად, პოლარიზაცია არსებობს ორ მთავარ პარტიას, „ქართულ ოცნებას“ და ენმ-ს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ პოლარიზაცია პოლიტიკურია და არა – იდეოლოგიური, მას იდეოლოგიური პოლარიზაციის მსგავსი მახასიათებლები აქვს და ისეთივე საზიანოა, როგორც ეს უკანასკნელი. პოლარიზაციის შესახებ კვლევებით ჩანს, რომ ამ პროცესმა შეიძლება ხელი შეუწყოს მასობრივ მხარდაჭერას კონკრეტული პარტიებისადმი, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის (Lupu 2015). თუმცა, სხვა შემთხვევებში, პოლარიზაცია, შესაძლოა, მთელი დემოკრატიული პროცესისათვის საზიანო აღმოჩნდეს, დებატები უფრო ინტენსიური გახადოს, პოლიტიკური აქტორებისა და მთელი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა შეამციროს და ხელი შეუწყოს დემოკრატიის შესუსტებას (Dalton 2008; Casal Bértoa 2017). თუ პარტიული ბლოკები ანტაგონისტურ კონკურენციაში ერთვებიან, არჩევნები საპირისპირო პოლიტიკურ რეჟიმებს შორის დაპირისპირებად გარდაიქმნება და პოლიტიკური პროცესის ლოგიკა ისე იცვლება, რომ ყველაფერს გამარჯვებული მხარე იღებს (Enyedi 2016). ამ პროცესში, არჩევნებში გამარჯვებული მხარე მონოპოლიური ხდება, ასუსტებს ან უარს ამბობს ძალაუფლების გადანაწილებაზე და ოპოზიციასთან მუდმივ კონფრონტაციაში ერთვება (Enyedi 2016).

ვინაიდან საქართველოს შემთხვევაში პოლარიზაცია არა იდეოლოგიაზე, არამედ ორ პოლიტიკურ ბანაკს შორის წინააღმდეგობაზე დგას, საინტერესოა, შეიძლება თუ არა ამ პროცესს ისეთი პოტენციურად დადებითი შედეგები მოჰყვას, როგორც დემოკრატიის კონსოლიდაციაა. მართლაც, პოლიტიკა საქართველოში იმ ლოგიკას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც ყველაფერს გამარჯვებული მხარე იღებს. ახალი მმართველი პარტიის შემთხვევაში, იგი უკან ხევს წინა მმართველი პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს; მაგალითად, „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ენმ-ის მმართველობის დროს მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება გააუქმა. მათ შორის იყო როგორც სიმბოლური ნაბიჯები, მაგ. პარლამენტის გადატანა დედაქალაქ თბილისიდან ქუთაისში, ისე – განვითარებასთან დაკავშირებული პროექტები, მაგ. ანაკლიის პროექტი (Menabde 2021). ამასთან ერთად, ოპოზიცია მუდმივად კონფრონტაციულ რეჟიმშია და ისეთ ხერხებს მიმართავს, როგორცაა ქუჩის აქციები ან საპარლამენტო ბოიკოტი (Casal Bértoa 2017).

საქართველოში პოლარიზაციას აძლიერებს პერსონალიზებული პოლიტიკა და ე.წ. ჩრდილოვანი ლიდერები, რომლებიც პოლიტიკურ ძალაუფლებას

კულისებიდან ფლობენ. „ქართული ოცნების“ და ენმ-ის არაფორმალური ლიდერები, ერთი მხრივ, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, მეორე მხრივ კი, ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, აქტიურად უწყობენ ხელს პოლიტიკის რადიკალიზაციას (Casal Bértoa 2017; Freedom House 2020). ის, რომ ორივე ლიდერი ინსტიტუციური კონტროლის მიღმა მოქმედებს, პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს და დემოკრატიას კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის.

რა როლს ასრულებს ამ გარემოში ულტრამემარჯვენე მოძრაობა? ერთი მხრივ, პოლიტიკური პოლარიზაცია თითქმის არ ტოვებს სივრცეს ახალი და მცირე პარტიებისათვის, მათ შორის, ულტრამემარჯვენე აქტორებისათვის, რადგან როგორც ენმ, ისე „ქართული ოცნება“ ოპონენტს მტრად სახავენ, საკუთარ თავს კი – პოლიტიკურ ლანდშაფტზე არსებულ ერთადერთ რეალურ ალტერნატივად. მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე მოძრაობა თავად იქცევა პოლარიზაციის ინსტრუმენტად. მომდევნო ქვეთავები უფრო დეტალურად განიხილავს ულტრამემარჯვენე მოძრაობას საქართველოში და მის როლს პოლარიზებულ პოლიტიკურ სივრცეში.

ულტრამემარჯვენე მოძრაობა საქართველოში

მიუხედავად მზარდი აქტიურობისა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ულტრამემარჯვენე მოძრაობას საქართველოში საარჩევნო სფეროში თავი არ დაუმკვიდრებია. ერთადერთი ულტრამემარჯვენე პარტია, რომელმაც საარჩევნო ბარიერის გადალახვა მოახერხა, „პატრიოტთა ალიანსია“, რომელიც 2013 წელს დაარსდა იმ მიზნით, რომ ქართულ პოლიტიკაში ე.წ. მესამე ძალად დამკვიდრებულიყო, „ქართული ოცნების“ და ენმ-ის შემდეგ. მან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 5.01% მიიღო. შესაბამისად, გადალახა 5%-იანი საარჩევნო ბარიერი და გახდა ერთადერთი მცირე ზომის პარტია, რომელმაც ორ ძირითად პარტიასთან ერთად პარლამენტში შესვლა მოახერხა. 2020 წლის არჩევნებში, რომლის წინაც 5%-იანი ბარიერი გაუქმდა, პარტიამ ისევ მოახერხა რამდენიმე ადგილის მოპოვება, თუმცა, წინა არჩევნებთან შედარებით ნაკლები ხმა მიიღო. ეს, სავარაუდოდ, იმის შედეგი იყო, რომ ულტრამემარჯვენე მოძრაობის მხარდამჭერების ხმები „ქართულ იდეას“ და „ქართულ მარშზე“ გადანაწილდა. ეს ორი პარტია ადრე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით არსებობდა, თუმცა 2020 წელს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ორივემ პარტიად დარეგისტრირება გადაწყვიტა. „ქართულმა იდეამ“ და „ქართულმა მარშმა“ პარლამენტში შესვლისათვის საკმარისი ხმები ვერ მოიპოვეს. ულტრამემარჯვენე აქტორებმა ერთიანად ხმების 3.8% მოაგროვეს, რომელიც 2016 წელს „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მიღებულ ხმებს ჩამოუვარდება.

რადგან ფორმალურ პოლიტიკაში მონაწილეობა მიუწვდომელი რჩება, ულტრამემარჯვენე აქტორები ძირითადად ქუჩის აქციებით შემოიფარგლებიან და პოლიტიკურ პროცესებზე მხოლოდ ირიბად ახდენენ გავლენას. საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ულტრამემარჯვენე მოძრაობა თავს ხშირად უკავშირებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (ეკლესიის როლის შესახებ იხ. სალომე კანდელაკის სტატია ამავე გამოცემაში). ქუჩის დემონსტრაციები, როგორც წესი, სამი ულტრამემარჯვენე პარტიის გარდა, უფრო მცირე, ნაკლებად ფორმალურ ჯგუფებსაც აერთიანებს, როგორცაა, მაგალითად, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“.

თანამშრომლობის რამდენიმე შემთხვევის მიუხედავად, მოძრაობა ფრაგმენტულია და კონსოლიდაციისაგან შორს არის. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო ლევან ვასაძის მიერ ახალი პოლიტიკური მოძრაობის დაარსება, რომელსაც „ერთობა, რაობა, იმედი“ დაერქვა. ვასაძის მიზანი ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ძალების გაერთიანებაა, თუმცა მის ინიციატივას სხვა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები სკეპტიკურად შეხვდნენ (Civil Georgia 2021b).

ქუჩის აქციების გარდა, ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას არაპირდაპირაც იღებენ. რამდენიმე შემთხვევაში, საპარლამენტო პარტიებმა, მათ შორის, „პატრიოტთა ალიანსმა“, ენმ-მ და „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინეს საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების მიერ იყო შედგენილი (Kinch 2020).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საზოგადოებრივი აზრი ხშირად მოიცავს ნატივისტურ და ჰომოფობიურ იდეებს, გასაკვირი არ არის, რომ ძირითადი პარტიები ულტრამემარჯვენე დღის წესრიგიდან გარკვეულ იდეებს იყენებენ, თავად ულტრამემარჯვენე აქტორებს კი პროცესს მიღმა ტოვებენ. როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს (World Values Survey database n.d.), მოსახლეობის 61% უარს იტყობს ჰომოსექსუალი მეზობლის ყოლაზე, 82% კი მიიჩნევს, რომ ჰომოსექსუალობა არასდროსაა გამართლებული. დაახლოებით 30% ასევე ეწინააღმდეგება იმიგრანტი ან სხვა რასის წარმომადგენელი მეზობლის ყოლას. ამას გარდა, 93% ამაყია ქართველობით, 87% კი მიიჩნევს, რომ დამსაქმებლებმა უპირატესობა არა იმიგრანტებს, არამედ ქართველებს უნდა მიანიჭონ.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად პარტიებმა ზოგიერთი ულტრამემარჯვენე იდეა შეითავსეს, თავად ულტრამემარჯვენე აქტორები პროცესის მიღმა რჩებიან. ამის ერთ-ერთი მიზეზი „ქართულ ოცნებას“ და ენმ-ს შორის პოლარიზაცია და პოლიტიკის ლოგიკაა, რომლის მიხედვითაც ყველაფერი გამარჯვებულ მხარეს რჩება. ამის ბოლოდროინდელი ილუსტრაცია იყო კრიზისი, რომელიც 2020 წლის არჩევნებს მოჰყვა.

პოლარიზაციის გავლენა ულტრამემარჯვენე მოძრაობაზე

„ქართულ ოცნებას“ და ენმ-ს შორის დაპირისპირება, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განსაკუთრებით გაღრმავდა. ოპოზიციური პარტიები მიიჩნევენ, რომ არჩევნები გაყალბდა და გადაწყვიტეს, პარლამენტისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ (Smolinik et al. 2021). ბოიკოტი და მისი თანმხლები დემონსტრაციები რამდენიმე თვე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში, ოპოზიცია ხელისუფლებას ერთპარტიული მმართველობის ჩამოყალიბებაში სდებდა ბრალს, „ქართული ოცნება“ კი მას დესტაბილიზაციაში ადანაშაულებდა.

კრიზისს ევროკავშირიც გამოეხმაურა და მისი მედიაციით მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები დაიწყო. რამდენიმე რაუნდის შემდეგ, 2021 წლის 19 აპრილს, მხარეებმა ხელი მოაწერეს ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის შეთანხმებას, რომელსაც „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ ეწოდა (Panchulidze and Youngs 2021).

შეთანხმების მიღწევამდე რამდენიმე თვის განმავლობაში, პოლიტიკური დებატები მხოლოდ და მხოლოდ მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებას ეხებოდა. მოლაპარაკების პროცესში, მხარეები განიხილავდნენ საარჩევნო და სამართლებრივ რეფორმებს, რომლებიც ბოლოს შეთანხმების ნაწილი გახდა. შედეგად, იმ თემების მნიშვნელობა, რომლებზეც ულტრამემარჯვენე მოძრაობა ამხვეილებს ყურადღებას (მაგ. ლგბტ უფლებები, იმიგრაცია, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია და ა.შ.), საგრძნობლად შემცირდა და ულტრამემარჯვენე აქტორები პოლიტიკურ პროცესს მიღმა აღმოჩნდნენ.

ქართული ულტრამემარჯვენე მოძრაობა, სხვა ანალოგიური მოძრაობების მსგავსად, ნატივისტურ და ავტორიტარულ იდეებს ეფუძნება. მისი იდეოლოგია გულისხმობს მკაცრად რეგულირებული საზოგადოების მხარდაჭერას, სადაც ნებისმიერი გადახვევა იმ სტანდარტებიდან, რაც ნორმად მიიჩნევა, მკაცრად უნდა დაისაჯოს. ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მიხედვით, მკაცრი წესრიგი აუცილებელია იმისათვის, რომ „ადგილობრივი მოსახლეობა“ „უცხო ელემენტებისაგან“ იყოს დაცული.

ქართულ კონტექსტში, „შიდა ჯგუფად“ („ადგილობრივებად“) მიიჩნევიან ეთნიკური ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები და ჰეტეროსექსუალი ქალები და კაცები, მაშინ როდესაც „გარე ჯგუფების“ („უცხოების“) განმარტება მოიცავს ყველას, ვინც შიდა ჯგუფის ვიწრო განსაზღვრების მიღმა აღმოჩნდება (მაგ. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, იმიგრანტები, ლგბტ ადამიანები და ა.შ.). არჩევნების შემდგომ კრიზისში, ეს საკითხები პოლა-

რიზაციაში გადაფარა. დებატების უდიდესი ნაწილი იმ საკითხებს ეთმობოდა, რაზეც მმართველი პარტია და ოპოზიცია ვერ თანხმდებოდნენ. ულტრამემარჯვენე ძალები კი, რომლებიც, როგორც წესი, „უცხოების“ პრობლემად წარმოჩენას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე – პრობლემების გადაჭრის გზების განხილვას, ამ პროცესში უადგილონი აღმოჩნდნენ.

არჩევნების შემდგომმა კრიზისმა აჩვენა, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია პოლიტიკურ სივრცეს მცირე და ახალი აქტორებისათვის, მათ შორის, ულტრამემარჯვენე პარტიებისათვის მიუწვდომელს ხდის. თუმცა, პოლარიზაციასა და ულტრამემარჯვენე ფრთას შორის მიმართება ცალმხრივი არ არის. ულტრამემარჯვენე აქტორები ხშირად თავადაც უწყობენ ხელს პოლარიზაციას.

ულტრამემარჯვენე მოძრაობის გავლენა პოლარიზაციაზე

ზოგადად, ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები „ქართულ ოცნებასაც“ და ენმ-საც ერთიანი პოლიტიკური ელიტის ნაწილად მიიჩნევენ. მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, ირმა ინაშვილი, ხშირად აღნიშნავს, რომ ქართულ პოლიტიკას განსაზღვრავს ორი პარტია, რომლებიც „ქმნიან იმიტაციას, თითქოს ჩხუბობენ“, თუმცა, ერთმანეთზე დამოკიდებულნი არიან (ინაშვილი 2021). მიუხედავად მთლიანი პოლიტიკური ელიტისადმი მისი წინააღმდეგობისა, ულტრამემარჯვენე მოძრაობა „ქართული ოცნებისადმი“ უფრო მეტი სიმპათიით განმსჭვალული ჩანს, ვიდრე ენმ-ისადმი.

ამის მაგალითი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდი, როდესაც „პატრიოტთა ალიანსმა“ ენმ-ის საპრეზიდენტო კანდიდატის საწინააღმდეგო აქცია გამართა და მხარდაჭერა გამოუცხადა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს (Civil Georgia 2018). არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, „ქართული მარშის“ ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ განაცხადა, რომ კენჭს აღარ იყრიდა და თავის მხარდაჭერებს მოუწოდა, ხმა სალომე ზურაბიშვილისთვის მიეცათ. ამ ქმედებებმა, ბუნებრივია, კითხვები გააჩინა იმის თაობაზე, თუ რატომ უწყობდა ხელს ულტრამემარჯვენე მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს და რატომ ახდენდა ენმ-ის კანდიდატის დისკრედიტაციას.

ნატივისტურ და ავტორიტარულ იდეოლოგიას ულტრამემარჯვენე მოძრაობა, როგორც წესი, გამოხატავს იმ საპროტესტო აქციებში, რომლებსაც ქართული საზოგადოებისათვის „უცხოებად“ მონიშნული პირების ან ჯგუფების წინააღმდეგ მართავს. მათ შორის არიან იმიგრანტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ყურნალისტები, ლგბტ ადამიან-

ნები და აქტივისტები. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ულტრამემარჯვენე მოძრაობა ასევე მობილიზდება ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა აქციების კონტრაქციის სახით. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ გზით მოძრაობა მმართველი პარტიის ინტერესებს ატარებს (Nanuashvili 2020).

ამის ერთ-ერთი მაგალითია 2018 წლის მაისის მოვლენები, როდესაც ქვეყანაში მოქმედი მკაცრი ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა. მის საპირისპიროდ ულტრამემარჯვენე მოძრაობამ კონტრაქცია გამართა. ორ აქციას შორის პოლიციამ ცოცხალი კედელი აღმართა. აღსანიშნავია, რომ მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი გახარია, ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ გამართული აქციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდა და თქვა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაქციის მონაწილეთა შეკავება გართულდებოდა (OC Media 2018). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი კავშირების არსებობა თუ კოორდინირებული ქმედება შეიძლება საკამათო იყოს, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ულტრამემარჯვენე ჯგუფები ხელისუფლებამ ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ გამართული აქციის დასაშლელად გამოიყენა.

მეორე და უფრო ბოლოდროინდელი მაგალითი იყო 2021 წლის ივლისში განვითარებული მოვლენები. „თბილისი პრაიდის“ ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ წინა დღეებში, „ქართული ოცნების“ წევრები „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს საჯარო აქციების გამართვისაგან თავშეკავებისკენ მოუწოდებდნენ და მიზეზად უსაფრთხოების რისკებს ასახელებდნენ. მარშამდე რამდენიმე დღით ადრე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ პრაიდის გამართვას თან ახლდა უსაფრთხოების დიდი რისკი და ორგანიზატორებს, „მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ დაგეგმილი აქციების მასშტაბურობიდან გამომდინარე“, ღონისძიების გაუქმებისკენ მოუწოდა (რადიო თავისუფლება 2021). პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისიც კი აღნიშნა, რომ პრაიდის ღონისძიებები „რადიკალურ ოპოზიციას“, მის ლიდერს, მიხეილ სააკაშვილსა და ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობას უკავშირდებოდა (Civil Georgia 2021a). შესაბამისად, ჯერ კიდევ ღონისძიების გამართვამდე, „ქართულმა ოცნებამ“ პოლარიზებისკენ მიმართული რიტორიკა გამოიყენა და ულტრამემარჯვენე მოძრაობა ხალხის ნების გამომხატველად წარმოაჩინა, „თბილისი პრაიდი“ კი – ენმ-ის ინსტრუმენტად.

ირიბმა მხარდაჭერამ (ან წინააღმდეგობის ნაკლებობამ), როგორც გამოჩნდა, ულტრამემარჯვენე ჯგუფებს ბიძგი მისცა: 5 ივლისს, მოძრაობის წევრებმა თბილისის ცენტრში რამდენიმე აქცია გამართეს, თავს დაესხნენ 50-ზე მეტ ყურნალისტს და შეიჭრნენ „თბილისი პრაიდისა“ და მოძრაობა „სირცხვილის“ ოფისებში. გარდა ამისა, დაშალეს პარლამენტის წინ საარჩევნო კრიზისის შემდგომ პე-

რიოდში ოპოზიციის მიერ გამართული კარვები და თავს დაესხნენ უფლებადამცველ ორგანიზაციებს. რამდენიმე საათის განმავლობაში, პოლიციას არავინ დაუკავებია. „თბილისი პრაიდმა“ ღირსების მარში გააუქმა, საჯარო სივრცე კი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებმა დაიკავეს (OC Media 2021).

ამდენად, „ქართულმა ოცნებამ“ პოლარიზებისკენ მიმართული რიტორიკა გამოიყენა, ულტრამემარჯვენე მოძრაობა კი თავს დაესხა ხელისუფლების ყველაზე ხმამაღალ კრიტიკოსებს: ჟურნალისტებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და ოპოზიციურ პარტიებს. ასევე აღსანიშნავია, რომ, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორების შეფასებებში გამოჩნდა, ხელისუფლება ულტრამემარჯვენე ძალადობას პასიურად შეხვდა: რამდენიმე საათის განმავლობაში, არცერთი პირი არ დაუკავებიათ, ძალადობის დამემოიბი განცხადებები კი მხოლოდ რამდენიმე საათისა და დღის დაგვიანებით გავრცელდა (OC Media 2021). ხელისუფლების პასუხი 5 ივლისის მოვლენებზე მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო პროტესტისადმი მისი ჩვეული რეაქციისაგან: „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ხშირად დაუდინაშაულებიან მშვიდობიანი აქტივისტების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებაში (მაგ. წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი და ა.შ.). შესაბამისად, პრაიდის გარშემო განვითარებული მოვლენები ცხადად აჩვენებს, როგორ შეიძლება ულტრამემარჯვენე მოძრაობა პოლარიზების გასაღრმავებელ ინსტრუმენტად იქცეს.

ავტორის შესახებ

თამთა გელაშვილი ოსლოს უნივერსიტეტის დოქტორანტი და ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის უმცროსი მკვლევარია. ის ფლობს ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხს ოსლოს უნივერსიტეტიდან და მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს ამსტერდამის უნივერსიტეტიდან. მისი სადოქტორო პროექტი საქართველოსა და უკრაინაში ულტრამემარჯვენე სოციალურ მოძრაობებს ეხება.

ბიბლიოგრაფია:

- ინაშვილი, ი. (2021). „პატრიოტთა ალიანსი აგრძელებს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას...“ Facebook, 4 მაისი, 2021 წ., ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1172288366549886&id=100013062005932.
- კოკოშვილი, დ. (2019). „აქციის დაშლა წყლის ჭავლით [ფოტორეპორტაჟი]“, *ნეტგაზეთი*, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/407165/>.
- რადიო თავისუფლება (2021). „შს პრაიდის გუნდს მოუწოდებს, უარი თქვან საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31341473.html>.
- Betz, H.G. (2019). “Facets of nativism: a heuristic exploration”, *Patterns of Prejudice*, 53:2.
- Casal Bértoa, F. (2017). “Polarizing Politics and the Future of Democracy: Georgia in Comparative Perspective.” *Democracy Reporting International*. Available from: https://democracy-reporting.org/dri_publications/polarising-politics-and-the-future-of-democracy-in-georgia/.
- Civil Georgia (2018). “Alliance of Patriots Holds Anti-UNM Rallies,” available from: <https://civil.ge/archives/267451>.

დასკვნა

საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობის განხილვისას, წინამდებარე სტატიამ აჩვენა, რომ მათი მონაწილეობა ცალმხრივი არ არის: ერთი მხრივ, ულტრამემარჯვენე აქტორები პოლარიზებული პოლიტიკური სივრციდან გარიყულნი არიან, თუმცა, მეორე მხრივ, ისინი უფრო მეტად აღრმავებენ პოლარიზაციას და ხშირად იქცევიან მმართველი პარტიის ინტერესების შესაბამისად.

ქართული ულტრამემარჯვენე მოძრაობის ფრაგმენტულობა და საარჩევნო კუთხით მისი წარუმატებლობა არ ნიშნავს, რომ ის პოლიტიკურად უმნიშვნელოა. მოძრაობის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პოლარიზაციის ინსტრუმენტად წარმოჩენა გამარტივებულ სურათს ქმნის, რომელიც გადაფარავს მის სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებსა და მობილიზების პოტენციალს. როგორც ევროპის რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება გვაჩვენებს, მარგინალური ულტრამემარჯვენე მოძრაობები ხშირად ახერხებენ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებას და არა მხოლოდ საზოგადოებრივ აზრს, არამედ მთლიან პოლიტიკურ სივრცეს მემარჯვენე პოლიტიკისკენ ხრიან (Wodak 2015). საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობის მიერ გადადგმული ბოლოდროინდელი ნაბიჯები, მათ შორის, პოლიტიკური ასოციაციებისა და პარტიების სახით ფორმალიზება, არჩევნებში მონაწილეობა და ძირითად პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური თანამშრომლობა იმაზე მიანიშნებს, რომ მას პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მეტი აზიციია აქვს.

- Civil Georgia (2021ა). "PM Says Pride March 'Unreasonable,' Organized by 'Radical Opposition,'" available from: <https://civil.ge/archives/430522>.
- Civil Georgia (2021ბ). "Levan Vasadze's Quest to Consolidate Georgia's Extreme Right," available from: <https://civil.ge/archives/421791>.
- Dalton, R.J. (2008). "The Quantity and the Quality of Party Systems: Party System Polarization, Its Measurement, and Its Consequences," *Comparative Political Studies*, 41:7.
- Enyedi, Z. (2016). "Populist Polarization and Party system Institutionalization: The Role of Party Politics in DeDemocratization," *Problems of Post-communism* 63:4.
- Freedom House (2020). "Georgia: Transitional or Hybrid Regime" *Nations in Transit*. Available from: <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2020>.
- Kincha, S. (2020). "Were the far-right the biggest losers in Georgia's election?" *OC Media*, ხელმისაწვდომია: <https://oc-media.org/features/were-the-far-right-the-biggest-losers-in-georgias-election/>
- Lupu, N. (2015). "Party Polarization and Mass Partisanship: A Comparative Perspective" *Political Behavior* 37.
- Menabde, G. (2021). "The 'Big Game' Around Georgia's Deep-Water Ports," *Eurasia Daily Monitor* 18:79. Available from: <https://jamestown.org/program/the-big-game-around-georgias-deep-water-ports/> (accessed August 20, 2021).
- Mudde, C. (2019). *The Far Right Today*. Polity.
- Nanuashvili, U. (2020). "Far-right radicalisation and Russian soft power," *Democracy Research Institute*, available from: <http://www.democracyresearch.org/eng/381>.
- Nodia, G. and Pinto Scholtbach, A. (2006). *The Political Landscape of Georgia*. Delft: Eburon Academic Publishers.
- OC Media (2018). "Interior minister apologises over Tbilisi nightclub raids as far-right groups plan daily protests," available from: <http://oc-media.org/interior-ministerapologises-over-tbilisi-nightclub-raids-as-far-right-groups-plan-daily-protests/>.
- OC Media (2021). "Live updates | Tbilisi Pride cancelled as mob violence continues," available from: <https://oc-media.org/live-updates-tbilisi-braces-for-first-pride-march/>.
- Panchulidze, E. and R. Youngs (2021). "Defusing Georgia's Political Crisis: An EU Foreign Policy Success?" *Carnegie Europe: Carnegie Endowment for International Peace*.
- Smolnik, F., M. Sarjveladze and G. Tadumadze (2021). "Deadlock in Georgia: Political Crisis and Regional Changes Need an EU Response," *German Institute for International and Security Affairs*.
- Wodak, R. (2015). "Theories and Definitions: The Politics of Identity." In: Wodak, R. (ed.). *The Politics of Fear: What Right-Wing Populist Discourses Mean*. SAGE Publications.
- World Values Survey (n.d.). *World Values Survey Wave 7: 2017-2020*, available from: <https://www.worldvaluessurvey.org/WVSONline.jsp>.

პოლიტიკური რადიკალიზაცია საქართველოში: პარტოპოლიტიკური ეკლესიის როლი

სალომე კანდელაკი (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი)

DOI: 10.3929/ethz-b-000507160

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია რადიკალიზაციის პროცესი და არალიბერალური ტენდენციები საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აქტორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როლს რადიკალიზაციის პროცესში. ირკვევა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაციის ირიბი წყაროა, განსაკუთრებით ლგბტ უფლებებთან, რელიგიურ სენტიმენტებთან, ოჯახურ ღირებულებებსა და სხვა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთაც ეკლესიის წარმომადგენლები ქრისტიანული ღირებულებებისა და ტრადიციებისთვის საფრთხის შემცველად სახავენ. ეს პერსპექტივა ხშირად ემთხვევა ნარატივებს, რომელთაც კრემლი საქართველოში ავრცელებს. რელიგიური სენტიმენტებით ხშირად აპელირებენ რადიკალი მემარჯვენე ჯგუფები, რათა ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური მიზნებით მოტივირებული ჰომოფობიური ნარატივები გაავრცელონ. მიუხედავად რბილი რიტორიკისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქმედებებში საკმაოდ რადიკალურია, რაც, ნებისთი უნებლიეთ, საერთაშორისო მასშტაბზე რადიკალი მემარჯვენე ძალებისა და კრემლის დღის წესრიგს აძლიერებს. ეკლესიის ქმედებებში ახალი პოტენციური ტენდენცია 2021 წლის 5 ივლისს ჩატარებული „თბილისი პრაიდის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებში გამოიკვეთა: ეკლესიისა და რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულმა დემონსტრაციამ ძალადობრივი სახე მიიღო, როდესაც დემონსტრანტებმა მედიის წარმომადგენლებზე იერიში მიიტანეს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის ქმედებები მიგვანიშნებს ძალადობის უფრო და უფრო უხეში და პირდაპირი ფორმების გამოყენებისა და რადიკალიზაციის ტენდენციებზე ეკლესიის კრიტიკოსთა და ოპონენტთა წინააღმდეგ.

შესავალი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 2021 წლის 5 ივლისის შემდეგ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ყურადღების ცენტრში მოექცა, როდესაც რადიკალურმა მემარჯვენე ჯგუფებმა მედიის წარმომადგენლებზე ფიზიკურად იძალადეს (EEAS, 2021). ამ დღეს ლგბტ თემს თბილისის ცენტრალურ გამზირზე ე.წ. „ღირსების მარში“ ჰქონდა დაგეგმილი. ეს ფაქტი ჰომოფობიური ჯგუფებისთვის იქცა მოტივად, მოეწყოთ კონტრდემონსტრაცია, რომელმაც შემდგომ ძალადობრივი სახე მიიღო. ქართული საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ აგრესიას, რომელსაც მეტწილად რადიკალურ მემარჯვენე აქტორებთან დაახლოებული ჰომოფობიური ჯგუფები გამოხატავდნენ, ზურგს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების მხარდაჭერა უმავრებდათ, რადგან ეკლესიამ ჰომოფობიური შეხედულებების მქონე ადამიანები საერთო ლოცვის აღსავლენად იქ გამოიყვანა, სადაც „ღირსების მარში“ უნდა გამართულიყო (Civil.ge, 05.07. 2021). თუკი, ტრადიციულად, პოლარიზაციის ძირითად წყაროდ პოლიტიკურ აქტორებსა და მედიას მიიჩნევდნენ, 5 ივლისის მოვლენებმა კიდევ უფრო მეტი სიმყარე შესძინა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, რადიკალიზაციის ძირითად წყაროთა შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც

უნდა განვიხილოთ. ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ იხილა, რომ ზოგიერთი სასულიერო პირი არა მხოლოდ ესწრებოდა ჰომოფობიურ დემონსტრაციას, არამედ იქ შეკრებილებს მეტი რადიკალიზაციისკენ მოუწოდებდა და დემონსტრანტებს ღმერთის, ერისა და სიწმინდის სახელით ძალადობისკენ აქეზებდა (Chichua, 2021). რამდენადაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართულ საზოგადოებაზე უზარმაზარი გავლენა აქვს და სასულიერო პირებს ხშირად ღმერთის წარმომადგენლებად მოიხსენიებენ, გასაკვირი არ არის, თუ ამგვარი მოწოდებები საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე პირდაპირ გავლენას იქონიებს, რისი შედეგიც საბოლოოდ ძალადობა შეიძლება იყოს. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი პოლიტიკურ რადიკალიზაციაში, როგორც პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც მნიშვნელოვანი აქტორი ქართულ საზოგადოებაში

საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორია. ეკლესიის ინსტიტუციურ გავლენასა და სტაბილურობაზე რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. პირველი ისაა, რომ ქართული საზოგადოების დიდი უმრავლესობა (85%) თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს (კავკასიის ბარომეტრი, 2020 წლის დეკემბერი). ამ 85%-დან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 82% ენდობა (CRRC, 2020). ამას გარდა, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მიმართ დადებითადაა განწყობილი ქვეყნის მოსახლეობის 88%. ასეთი განწყობები დღემდე ნარჩუნდება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის, მიმართ ნდობა ბოლო წლებში საგრძობად შემცირდა. 2017 წლის „ციაილის საქმე“ (CRRC, 2020) – როდესაც სასულიერო პირს ილია მეორის მოწამელის მცდელობაში დასდეს ბრალი – ეკლესიის რეპუტაციაზე საზოგადოების ზოგიერთ სეგმენტში უარყოფითი გავლენა იქონია (Agenda.ge, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის პოზიტიური საჯარო შეფასება 2000-იანი წლების განმავლობაში თანმიმდევრულად იზრდებოდა და 90%-იან ნიშნულსაც მიაღწია (IRI, 2011), ამჟამად, კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზე, ხსენებული რელიგიური ინსტიტუციის საქმიანობას საქართველოს მოსახლეობის 66% აცხადებს დადებითად (CRRC, 2020). ამის მიუხედავად, მართლმადიდებელი ეკლესია უცვლელად ინარჩუნებს ადგილს მაღალი სანდოობის მქონე ინსტიტუტთა შორის, თუმცა, შესაძლოა, ეს სტატისტიკა უფრო მეტად იმ საჯარო ინსტიტუტთა პრობლემებზე მეტყველებდეს, რომელთაც, მასთან შედარებით, საზოგადოება ნაკლებად ენდობა.

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ არის და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ძალაუფლების სფეროების ფორმალური დანაწილება სახეზეა, მართლმადიდებელი ეკლესია „კონკორდატი“ (2002) – ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით – განსაზღვრული რიგი პრივილეგიებით სარგებლობს. ამ შეთანხმების თანახმად, სახელმწიფოს რელიგიურ საკითხებში ჩარევა ეკრძალება. თუმცა, არაფერია ნათქვამი ეკლესიის ჩარევაზე სახელმწიფო საკითხებში (Kakachia, 2014). ამ გარემოების საფუძველზე, ზოგიერთი ექსპერტი და პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ შეთანხმება ან უნდა განახლდეს, ან, სულაც, გაუქმდეს, რადგან „კონკორდატი“ სხვა რელიგიურ დენომინაციებთან მიმართებით ძალთა ბალანსს არღვევს და არაერთ

ხარვეზს შეიცავს (Ananidze, 2021). „კონკორდატი“ საკვანძო მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც განაპირობებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძლიერ გავლენას არა მხოლოდ საზოგადოებაზე, არამედ ფართო პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზეც (Gegeshidze & Mirziashvili, 2021). გარდა საზოგადოებრივი ნდობისა და საკანონმდებლო გარანტიებისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მენისტრიმული პოლიტიკური პარტიების ლოიალობითაც სარგებლობს, რაც ამ პარტიათა მხრიდან ელექტორალური მხარდაჭერის მოპოვების სურვილითაა განპირობებული.

ზემოსხენებულ პრობლემათა ნათელი მაგალითია საქართველოს მთავრობის უმოქმედობა 5 ივლისის მოვლენების დროს, როდესაც ურუნალისტებს ქუჩაში სცემეს და „პრაიდის“ ორგანიზატორთა ოფისზე იერიში მიიტანეს. ეს ძალადობა შესაძლებელი გახდა სამართალდამცავთა არაადეკვატურმა მოქმედებებმა ხსენებულ ადგილებზე, სადაც მათ ურუნალისტები და აქტივისტები უნდა დაეცვათ. ამას გარდა, საგამოძიებო ორგანოებს ანტი-ლგბტ დემონსტრაციის ორგანიზატორები არ დაუკითხავს მანამ, სანამ დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთა საერთო განცხადება არ გავრცელდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიციის განყოფილებაში დაიბარეს, რადიკალური მემარჯვენე ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი საჯაროდ აცხადებდა, რომ მათი ორგანიზაციის წევრებისთვის ბრალის წაყენების შემთხვევაში მმართველი პარტია ვეღარ განაღდებდა ამომრჩეველთა 43%-იან მხარდაჭერას, რის საფუძველზეც მას თავიდან უნდა აეცილებინა ვადამდელი არჩევნები, რომელიც ევროკავშირის ფასილიტაციით მიღწეული შეთანხმების თანახმად უნდა დანიშნულიყო (TV Pirveli, 16.07.2021). ასეთი განცხადებები რადიკალურ მემარჯვენე ძალებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის არსებულ პოლიტიკურ კავშირებზე დამატებით მტკიცებულებებს იძლევა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც რადიკალიზაციის მასტიმულირებელი ქართულ საზოგადოებაში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქვეყნის მოსახლეობისთვის ქართული იდენტობისა და ტრადიციების განუყოფელ ნაწილად იქცა. აქედან გამომდინარე, ეკლესია თავს ზნეობის დამცველად და „ზნედაცემულობის“ წინააღმდეგ მებრძოლად წარმოიდგენს (Patriarchate, 29.06.2021). საზოგადოებრივი ფრაგმენტაციის გაღრმავებას ხელს უწყობს ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე თემები, როგორებიცაა უმცირესობათა უფლებები და თანასწორობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები: საჯარო დებატები პროგრესივიზმსა და ტრადიციონალიზმზე, რომელიც

მოიცავს სკოლებში სექსუალური განათლების შეტანას, აბორტსა და ტრადიციული ოჯახის ღირებულებათა საკითხებს; საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და სხვ. (Kandelaki, 2021). ახლახან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კოვიდ-19-ის ვაქცინაციის გარშემო წარმართულ დებატებში ჩაერთო (Kunchulia, 29.01.2021). რადიკალური მემარჯვენე პარტიები ხშირად აპელირებენ ამ საკითხებზე ტრადიციების დაცვის სახელით, რათა თავიანთი პოლიტიკური რიტორიკა გაავრცელონ. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ასეთი ჯგუფები რელიგიას ინსტრუმენტალურად ეპყრობიან, რათა, მისი სახელით, ტრადიციონალისტური სენტიმენტების ექსპლუატაციის ხარჯზე, საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვონ (Sartania, 2019). თუმცა, სხვები მიიჩნევენ, რომ რადიკალური მემარჯვენე ძალებისა და ეკლესიის ქმედებები სრულ ურთიერთთანხმობაშია (GIP, 23.07.2020).

ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, საპატრიარქოს, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველი ცენტრალური ორგანოს, ოფიციალური შეხედულებები არასდროს უბამდა მხარს ძალადობას. რეალურად, მსგავსი აქტების შემდეგ, ეკლესია, როგორც წესი, ძალადობრივი ქმედებებისგან საკუთარი თავის საჯარო დისტანცირებითაა დაკავებული. თუმცა, ამის საპირისპირო არგუმენტის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არასდროს გამოხატავდა მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების ქმედებებსა და ძალადობრივ რიტორიკას – ჯგუფებისა, რომლებიც თავად არიან მრევლის წარმომადგენლები და, ხშირად, ამა თუ იმ ჯგუფის წევრებად სასულიერო პირებიც გვევლინებიან. ამ არგუმენტის მხარდაჭერი ორი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენები – ლგბტ თემის პირველი წარუმატებელი მცდელობა, აღენიშნა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, რომელიც ულტრაკონსერვატორულ ჯგუფთა მიერ აქტივისტებზე განხორციელებული იერიშით დასრულდა (Amnesty International, 2013) – და 2021 წლის 5 ივლისია, როცა „პრაიდი“ უნდა გამართულიყო და, ნაცვლად ამისა, რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან მედიის წარმომადგენლებზე ძალადობა მივიღეთ (Reuters, 06.07.2021). 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენების შემდეგ, ნაცვლად ძალადობრივი შეხედულებებისა და ქმედებებისგან დისტანცირებისა, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს დღე – ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე – ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა, რითაც ხსენებული თარიღი საკუთარ პოლიტიკურ დღის წესრიგს დაუქვემდებარა (Agenda.ge, 2014). 2021 წლის 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებში ჩართული სასულიერო პირები არავის დაუსჯია არც ამ სიტყვის საკანონმდებლო, სეკულარული აზრით და არც მისი რელიგიური, ეკლესიასტური მნიშვნელობით. ამრიგად, მართლმადიდებელი ეკლესიამხოლოდ ფორმალურად დისტანცირდა ძალადობისგან.

მედია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ

უკანასკნელი წლების განმავლობაში მედია, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე ძლიერ კრიტიკოსად ჩამოყალიბდა. კრიტიკა განსაკუთრებით ეპისკოპოსებსა და მაღალი იერარქების ცხოვრების მდღერულ სტილს ეხებოდა (Keshelashvili, 2020). მედია აქტიურად აშუქებდა ეკლესიის წიაღში შესაძლოდ არსებულ ფინანსურ კორუფციას, გაუმჭირვალობასა თუ სექსუალური ხასიათის დანაშაულს – განსაკუთრებით „ციანიდის საქმის“ შემდეგ (Arabuli, 2021). ამგვარმა გაშუქებამ ეკლესიის ზოგიერთი წევრისგან მედიის წარმომადგენლების მიმართ ფიზიკური აგრესია გამოიწვია. მაგალითისთვის, რამდენიმე თვის წინ ვანის ეპისკოპოსმა ანტონმა ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა – კისერში ჩაარტყა და მიკროფონი გადაუგდო – რაც დავითგარეჯის მონასტერში ბერების მიერ ორი ჟურნალისტისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას მოჰყვა (Civil.ge, 17.07.2021). ამრიგად, 5 ივლისის მოვლენები, სადაც მემარჯვენე ანტი-ლგბტ დემონსტრაციის მონაწილეებმა 53 ჟურნალისტს სცემეს, შეიძლება, გარკვეულწილად შეფასდეს, როგორც კულმინაცია გაჭიანურებული პერიოდისა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან, მედიის მიმართ აგრესიისა და შეუწყნარებლობის სენტიმენტთა თანდათანობითი გაძლიერებით ხასიათდებოდა. ეკლესიის წინ რუსთაველის გამზირზე გამართული „ანტი-პრაიდი“ დემონსტრაციისას, იქ შეკრებილი მემარჯვენე ჯგუფებისა და მრევლის წევრების ძალადობა ჟურნალისტებისკენ იყო მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფთა შეკრების მიზანი ლგბტ ადამიანებთან დაპირისპირება იყო. მაგრამ დაგეგმილი „ღირსების მარში“ არ ჩატარებულა, ქუჩაში განვითარებულ მოვლენებს მხოლოდ ჟურნალისტები აშუქებდნენ, რომლებზეც იერიში მიიტანეს რადიკალურმა მემარჯვენე ჯგუფებმა, მრევლის წევრებმა და სასულიერო პირებმა. ტრადიციულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მოვლენათა აგრესიის გზით განვითარებისგან თვითდისტანცირებას მიჰყო ხელი და გაავრცელა განცხადება, რომელშიც ჟურნალისტთა დაშავების ფაქტთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამდა (Civil.ge, 13.07.2021). ამის მიუხედავად, ეკლესიის ზოგიერთი მაღალი იერარქი, მაგალითად, ვანის ეპისკოპოსი ანტონი, ძალადობასა და „გარყვნილების“ გავრცელებას მედიასა და ამერიკისა და ევროკავშირის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს აბრალებდა. ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე კიდევ უფრო შორს წავიდა და ჟურნალისტებს უარესი ძალადობით დაემუქრა (Civil.ge, 11.07.2021). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას ეკლესიის წარმომადგენლები ან არ იზიარებენ, ან ცდილობენ, ნაცვლად

არსებითი განხილვისა, შეინარჩუნონ ფასადი მაშინ, როდესაც სინოდი ეკლესიის მაღალ იერარქებს შესაძლოა იყენებდეს ინსტრუმენტებად, რათა ირიბად გაავრცელოს ულტრაკონსერვატიული გზავნილები და გაავლენა იქონიოს მიმდინარე მოვლენებზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც მას ქართულ საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. ეკლესიის წარმომადგენლები, დროდადრო, ამბიონებიდან, წინასაარჩევნო პერიოდში კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერ ან ჰომოფობიური დემონსტრაციის მობილიზებისკენ მიმართულ განცხადებებს აკეთებენ. ეკლესიის საკუთრებაშია კერძო მედია პლატფორმა (ertsulovneba.ge), თბილისის სასულიერო აკადემია, რომელიც გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, და სემინარიათა და სკოლათა ფართო სპექტრი საქართველოს მასშტაბით. ამასთან, მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია წამოიწყოს სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივა ირიბად, რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებულ მესამე აქტორთა მეშვეობით, რომელთაც რელიგია იდენტობის პოლიტიკის ინსტრუმენტად აქციეს (TDI, 2019). პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს მემარჯვენე ჯგუფები რელიგიურ სენტიმენტებსა და ეკლესიის ზემოხსენებულ ინსტრუმენტებს თავიანთი ინტერესების გასატარებლად იყენებენ. ამის მაგალითებია საპატრიარქოს სატელევიზიო გადაცემებში რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენელთა მიწვევა; ამ ჯგუფებისა და ეკლესიის წარმომადგენლების ერთობლივი მონაწილეობა ლგბტქ ადამიანების წინააღმდეგ დაგეგმილ დემონსტრაციებში; ტრადიციული ქორწინების სამართლებრივად განსაზღვრის საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერა მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების იურისტების მიერ, რომელთაც ზურგს ეკლესია უმაგრებს. გარდა ამისა, ხსენებული ჯგუფები ხშირად იყენებენ რელიგიურ სიმბოლოებს – ჯვრებს, ხატებსა და სანთლებს – იმისათვის, რომ საზოგადოებაში რელიგიური სენტიმენტები კიდევ უფრო გააღვივონ. ეს ჯგუფები ცდილობენ მრევლთან ინტეგრირებასა და მათ დარწმუნებას, რომ ლგბტ ადამიანები ქართულ იდენტობას, რელიგიასა და ტრადიციებს საფრთხეს უქმნიან. ჰომოფობიური განწყობების გაძლიერებასთან ერთად, მემარჯვენე ჯგუფები ფართოდ ავრცელებენ ქსენოფობიურ და ანტიმიგრაციულ განწყობებსაც, განსაკუთრებით იმ ადამიანების მიმართ, ვისაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებული რელიგიური კუთვნილება აქვს, რაშიც მათ ეკლესიის წარმომადგენელთა ნაწილიც უჭერს მხარს. აღსანიშნავია, რომ არალიბერალური ჯგუფების ლიდერები,

ვინც ანტი-ლგბტ დემონსტრაციებს ორგანიზებას უწევდნენ, დაკავშირებული არიან როგორც კრემლთან, ისე სხვა ანტიდასავლურ აქტორებთანაც. მაგალითისთვის, სატელევიზიო არხ „ალტი-ინფოს“ დამფუძნებლები ღიად თანამშრომლობდნენ რასისტ და ანტიქართული შეხედულებებით გამორჩეულ რუს ფილოსოფოს ალექსანდრ დუგინთან, რომელიც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემას ესტუმრა და 5 ივლისს რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების მიერ ურნალისტებზე განხორციელებული ძალადობა მტკიცედ დაუკავშირა „პრაიდს“ (Alt Info Interview with Dugin, YouTube). ახლად ჩამოყალიბებული პარტიის „ერთობა, რაობა, იმედი – ერი“ ლიდერიც მჭიდრო კავშირშია რუს აქტორებთან, მათ შორის დუგინთანაც. ჰომოფობიური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, გურამ ფალავანდიშვილს, ახლო ურთიერთობა აქვს საქართველოს უშიშროების სექტორის ყოფილ მაღალჩინოსანს, ვალერი ხაბურძანიასთან. გარდა ამისა, 5 ივლისის მოვლენების შემდეგ, ულტრანაციონალისტური პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა რუსეთის მთავრობას წერილი გაუგზავნეს, სადაც საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კრიზისთან გამკლავებაში დახმარებას სთხოვდნენ. ეს წერილი პარტიის რუსული კავშირების პირველი არაირიბი სიგნალი იყო (Caucasian Knot, 3.08.21). იქამდე, რუსულმა ანალიტიკურმა პორტალმა „დოსიემ“ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებშიც ლაპარაკი იყო „პატრიოტთა“ ალიანსის დაფინანსების რუსულ წყაროებზე (Kincha, 2020), რასაც პარტიის ლიდერები კატეგორიულად უარყოფდნენ.

თუკი რუსულ კავშირებზე აქამდე დუმდნენ, სახელმწიფოს უმოქმედობამ რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებს ახლა უკვე ამ თემაზე, ისევე როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, აზრის ღიად გამოთქმის საშუალება მისცა. ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე გავლენის გასაზრდელად და საკუთარი ინტერესების გასატარებლად, რუსეთს შეუძლია, მემარჯვენე ჯგუფების მხარდაჭერა აქტიურად გამოიყენოს. თავის მხრივ, ამ ჯგუფებსაც შეუძლიათ რელიგიური სენტიმენტების ინსტრუმენტალიზაცია ფართო საზოგადოებაზე საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გასავრცელებლად. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ეკლესიის მხრიდან ხსენებული ჯგუფების მხარდაჭერა სარისკო წამოწყებაა, რადგან ამ პროცესის თანმდევი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები მას, შესაძლოა, ქართული საზოგადოების მხარდაჭერის დაკარგვად დაუჯდეს. აქედან გამომდინარე, ეკლესია კვლავ განაგრძობს საკუთარი თავის დამოუკიდებელ აქტიურად წარმოჩენას.

დასკვნა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გარკვეულწილად პირდაპირ და ასევე ირიბად უჭერს მხარს ანტილიბერალურ შენედელებსა და ქმედებებს, რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივ შესტებზე, სიძულვილის ენის გამოყენებასა და რელიგიური აქტორების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის ან ძალადობისკენ მოწოდებებზე არაადეკვატურად რეაგირებით. ეკლესია გავლენიანი ძალაა, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ნდობით, საკანონმდებლო პრივილეგიებით, პოლიტიკური გავლენით, მედიასა-შუალელებითა და სოციალური და საგანმანათლებლო არხებით სარგებლობს. თეორიულად, რადიკალიზებული და ფრაგმენტირებული საზოგადოება ეკლესიის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. ნაცვლად ამისა, იგი სტატუს-კვოს შენარჩუნებისკენ უნდა იყოს მოწოდებული. მაგრამ, ის საკითხები, რომელთაც რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები ექსპლიციტურად იყენებენ თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის გასაგრძელებლად – ჰომოფობიური და ქსენოფობიური განწყობები, „ტრადიციული ოჯახის ღირებულებები“ და ანტიდასავლური სენტიმენტები – ხშირად პირდაპირაა შთაგონებული ულტრაკონსერვატორ სასულიერო პირთა ქადაგებებით და კვლავაწარმოებს როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიურ-კონსერვატორულ დღის წესრიგს, ისე კრემლის პროპაგანდისტულ ნარატივებს. თუმცა, ისიც მართალია, რომ რადიკალური მემარჯვენეობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის უშუალო ურთიერთკავშირი ყოველთვის აშკარა არ არის. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, ამ დიდ ინსტიტუტში, სასულიერო პირებს შორის მოსაზრებათა მრავალფეროვნებაა, თუმცა, არსებობს მჭიდრო კორელაცია კონსერვატორული ეკლესიისა და რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფთა ხშირად ურთიერთმინფორმირებელ დისკურსებს შორის. 5 ივლისის მოვლენების შემდეგ ეკლესიის ქმედებებში ახალი ტენდენცია გამოიკვეთა, რომელიც ცდილობს, კიდევ უფრო გაამწვავოს რადიკალიზაციის პროცესი თავისი მთავარი ოპონენტების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ხმათა ჩანშობით, რითაც შეძლებს როგორც საჯარო სივრცის, ისე არასასურველ ელემენტთა დისკურსების „განწმენდას“.

ავტორის შესახებ

სალომე კანდელაკი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პროექტის კოორდინატორი და უმცროსი პოლიტიკის ანალიტიკოსია. სალომე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტია. ის აგრეთვე ევროპული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორია. 2017 წელს მაგისტრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში დაიცვა ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. ამავდროულად, მისი სპეციალიზაციის სფერო იყო შედარებითი პოლიტიკა. მაგისტრის მეორე ხარისხი, საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირებაში (MPA), სალომემ მართვის მეცნიერებათა გერმანული უნივერსიტეტისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო პროგრამის ფარგლებში დაიცვა. მუშაობდა გრანტების მოძიების მენეჯერად სოციალური სამართლიანობის ცენტრში (წარსულში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი – EMC). ის, აგრეთვე, მუშაობდა წამყვან სპეციალისტად თბილისის საკრებულოში და პროექტების მენეჯერად სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციაში. ავტორის კვლევის სფერო კომპარატიული ანალიზია ძირითადი ფოკუსით რელიგიასა და დემოკრატიაზე, აგრეთვე, რეგიონალიზმსა და დემოკრატიაზე. სალომეს კვლევითი ინტერესები მოიცავს ევროპეიზაციას, გაყინულ კონფლიქტებსა და სეკულარიზმს ევროპის მასშტაბით.

ბიბლიოგრაფია:

- Agenda.ge (2014). “Family-Values Day and Anti-Homophobia Day being marked in Georgia.” Available at: <https://agenda.ge/en/news/2014/1211> Accessed August 9 2021.
- Agenda.ge (2017). “Archpriest found guilty for plotting murder, sentenced to 9 years.” Available at: <https://agenda.ge/en/news/2017/1903> Accessed August 8 2021.
- Alt Info (2020). Interview with Dugin. Available at: <https://www.youtube.com/watch?v=kkRMTnXXznI> Accessed 9 August 2021.
- Amnesty International (2013). “Georgia: Homophobic violence mars Tbilisi Pride event.” Available at: <https://www.amnesty.org/en/latest/news/2013/05/georgia-homophobic-violence-mars-tbilisi-pride-event/> Accessed August 8 2021.
- Caucasian Knot (2021). “Alliance of Patriots of Georgia” requests President Putin to restore dialogue with TbilisiSource.” Available at: <https://www.eng.kavkaz-uzel.eu/articles/56331/> Accessed 9 August 2021. Civil.ge (2021). “Georgian Orthodox Church Reacts to Death of Journalist.” Available at: <https://civil.ge/archives/432078> Accessed August 9 2021.
- Civil.ge (2021). “Anti-Gay Crowds Destroy Anti-Government Tents Outside Parliament.” Available at: <https://civil.ge/archives/430521> Accessed August 9 2021.

- Civil.ge (2021). "Orthodox Metropolitan Warns Assaulted Journalist of More Violence." Available at: <https://civil.ge/archives/431512> Accessed August 9 2021.
- Chichua, N. (2021). „ვალდებულები ხართ, იძალადოთ ღმერთისთვის — დეკანოზი ხალხს დანაშაულისკენ მოუწოდებს“ *ნეტგაზეთი*. ხელმისაწვდომია აქ: <https://netgazeti.ge/news/552283/> ბოლოს გამოყენებულ იქნა 2021 წლის 1 სექტემბერს.
- Constitutional Agreement between State of Georgia and Georgian Apostolic Autocephaly Orthodox Church (2002). *Forbcaucasus*. Available at: <https://forbcaucasus.files.wordpress.com/2014/08/concordat.pdf> Accessed August 8 2021.
- CRRC – Caucasus Research Resource Center, Georgia (2020). "Church scandals have hurt trust in Georgian Orthodox Church." *Social Science in the Caucasus*. Available at: <https://crrc-caucasus.blogspot.com/2020/03/domestic-violence-piece.html> Accessed 6 September 2021.
- CRRC – Caucasus Research Resource Center, Georgia (2020). Cross-tab: "Trust religious institution to which you belong (%) & which religion or denomination, if any, do you consider yourself belonging to (%)." *Caucasus Barometer survey*. Available at: <https://www.caucasusbarometer.org/en/cb2020ge/TRURELI-by-RELNEW/> Accessed 6 September 2021.
- CRRC – Caucasus Research Resource Center, Georgia (2020). "Covid-19 and the Georgian Orthodox Church." *Social Science in the Caucasus*. Blogpost. Available at: <https://crrc-caucasus.blogspot.com/2020/07/covid-19-and-georgian-orthodox-church.html?fbclid=IwAR0J1Ehmz3WR20R1Tw-2cDxzZPHONhRqTcJxyTmRg5byY3P3SvXORsdulYo> Accessible 6 September 2021.
- EEAS (2021). "Joint Statement on violence in Tbilisi." *Delegation of the European Union to Georgia*. Available at: https://eeas.europa.eu/delegations/georgia/101306/joint-statement-violence-tbilisi_en. Accessed August 9 2021.
- Enyedi, Z.; Schwoerer, J. & Chitanava, E. (2020). "Online-seminar: How do the narratives of far-right nationalists and religious conservatives coincide in the Eastern and Western Europe?" *Georgian Institute of Politics*. Available at: <http://gip.ge/ge/ონლაინ-სემინარი-რამდენა/> Accessed August 8 2021.
- Gegeshidze, A. & Mirziashvili, M. (2021). "The Orthodox Church in Georgia's Changing Society." *Carnegie Europe*. Available at: <https://carnegieeuropa.eu/2021/07/23/orthodox-church-in-georgia-s-changing-society-pub-85021> Accessed August 8 2021.
- Interpressnews – IPN (2021). "The Georgian Patriarchate releases a statement regarding "Tbilisi Pride" " *Patriarchate*. Available at: <https://www.interpressnews.ge/en/article/114297-the-georgian-patriarchate-releases-a-statement-regarding-tbilisi-pride/> Accessed August 8 2021.
- IRI (2021). "Public Opinion Survey Residents of Georgia, June 2021." *Center for Insights in Survey Research*. Available at: https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_june_2021_public_release.pdf Accessed August 6 2021.
- IRI (2011). "IRI Releases Expanded Nationwide Survey of Georgian Public Opinion." Available at: <https://www.iri.org/resource/iri-releases-expanded-nationwide-survey-georgian-public-opinion> Accessed August 7 2021.
- Kakachia, K. (2014). "Is Georgia's Orthodox Church an Obstacle to European Values?" *Ponars Eurasia*. Available at: https://www.ponarseurasia.org/is-georgia-s-orthodox-church-an-obstacle-to-european-values/?fbclid=IwAR1D-VAZYkoy9iroidsTI6VE_XvFTUupDDkEkaj1H1KAfyx8jL0I0cDTKBq Accessed August 9 2021.
- Kandelaki, S. (2021). "Euriscepticism and religion in the Georgian far-right groups." *Georgian Institute of Politics (GIP)*. Available at: http://gip.ge/wp-content/uploads/2021/05/Working-paper-13_Kandelaki.pdf Accessed August 9 2021.
- Keshelashvili, A. (2020). „ტყე ეკლესიების საკუთრებაში – რა წერია კოდექსში“ *პუბლიკა*. ხელმისაწვდომია აქ: <https://publika.ge/article/tye-eklesiebis-sakutrebashi-ra-weria-kodeqssh/> ბოლოს გამოყენებულ იქნა 2021 წლის 9 აგვისტოს.
- Kincha, S. (2020). "Were the far-right the biggest losers in Georgia's election?" *OC-Media*. Available at: <https://oc-media.org/features/were-the-far-right-the-biggest-losers-in-georgias-election/> Accessed August 9 2021.
- Kunchulia, L. (2021). „სახიფათო ქადაგებები – რას ისმენს მრევლი ამბიონიდან“ რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.radiotavisupleba.ge/a/სახიფათო-ქადაგებები-რას-ისმენს-მრევლი-ამბიონი-დან/31075620.html> ბოლოს გამოყენებულ იქნა 2021 წლის 8 აგვისტოს.
- NDI (2020). "NDI Poll: Declining Trust in Country's Democratic Institutions; Georgians Negatively Assess Parliament's Failure to Ensure Fully Proportional 2020 Elections." Available at: <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-declining-trust-country-s-democratic-institutions-georgians-negatively-assess> Accessed August 8 2021.
- Netgazeti (2021). „ვალდებულები ხართ, იძალადოთ ღმერთისთვის — დეკანოზი ხალხს დანაშაულისკენ მოუწოდებს“ Available at: <https://netgazeti.ge/news/552283/> Accessed August 7 2021.
- Negrazeti (2021). „რომელი პარტია [არ] ეუბნება უარს საპატრიარქოს დაფინანსებასა და პრივილეგიებზე“

Available at: <https://netgazeti.ge/news/554878/> Accessed August 8 2021.

- Maisuradze, G. (2020). "A Pandemic and the Uncompleted Project of Georgian Statehood". Available at: <https://ge.boell.org/en/2020/05/21/pandemic-and-uncompleted-project-georgian-statehood> Accessed August 8 2021.
- Meladze, N. (2020–2021). *Nodar Meladzis Shabati*. Available at: <https://www.facebook.com/watch/NodarMeladzisShabati/> Accessed August 8 2021.
- Sahgal, N. 2017. Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe. Pew Research Center. Retrieved from: <https://www.pewforum.org/2017/05/10/religious-belief-and-national-belonging-in-central-and-eastern-europe/>
- Reuters (2021). "LGBT+ campaigners in Georgia call off pride march after office attack". Available at: <https://www.reuters.com/world/europe/protesters-storm-lgbt-campaigners-office-tbilisi-before-planned-march-2021-07-05/> Accessed August 8 2021.
- Sartania, K & Tsurkava, a. (2019). "Ultranationalist Narrative of Georgian Online Groups. Open Society Foundation Georgia." Available at: <https://osgf.ge/en/publication/ultranationalist-narrative-of-online-groups-in-georgia/>
- TDI – Tolerance and Diversity Institute (2019). "Georgia among signatories of the statement against Blasphemy Laws." Available at: <https://tdi.ge/en/news/722-georgia-among-signatories-statement-against-blasphemy-laws>. Accessed September 5 2021.
- TV Pirveli, (2021). „ამ ბიჭებს გაწირავთ და 43%-ს დაგიხატავთ არჩევნებზე – ვასაძის თანაპარტიელი ხელისუფლებას აფრთხილებს.“ ხელმისაწვდომია აქ: <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/7038-am-bichebs-gatsiravt-da-43-s-dagikhatavt-archevnebeze-vasadzis-tanapartieli-khelisuplebas> ბოლოს გამოყენებულ იქნა 2021 წლის 8 აგვისტოს.

ქართული მეინსტრიული მედია პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში: მსხვერპლი და თანაგზარეული

ლაშა ქავთარაძე (ბერგენის უნივერსიტეტი და კრისტიანის საუნივერსიტეტო კოლეჯი)

DOI: 10.3929/ethz-b-000507160

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქართული მეინსტრიული მედიის როლი ამჟამად არსებულ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში. ერთი მხრივ, პოლიტიკური აქტორები, მათ შორის, მთავრობა და პოლიტიკური პარტიები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მედიაორგანიზაციების მუშაობაზე. მეორე მხრივ, მეინსტრიული მედია-საშუალებები მოქმედებენ როგორც პოლიტიკური აქტორების პირდაპირი დამატებები, რითაც წვლილი შეაქვთ დანაწევრებული და რადიკალიზებული პოლიტიკური ატმოსფეროს შენარჩუნებაში. სტატია, თავდაპირველად, აღწერს რამდენიმე მედიაორგანიზაციაში მომხდარ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და მართვასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. შემდეგ კი, განხილულია ცალკეული შემთხვევები, როდესაც ტელეკომპანიებმა უბრალოდ უგულვებელყვეს პროფესიული სტანდარტები, რათა არჩევნების პერიოდში ღია პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართულიყვნენ. ქართული მედიასისტემის სრული სურათის შესაქმნელად, ცალსახად საჭიროა უფრო დეტალური კვლევის ჩატარება, თუმცა წინამდებარე სტატია ცდილობს, რომ პოლარიზებული მეინსტრიული მედიის კონტურები მოხაზოს, რაც შესაძლოა დაგვეხმაროს მომავალში უფრო სიღრმისეული კვლევის ჩატარებაში.

შესავალი

ქართულ მედიაში, სულ მცირე, თითქმის ათი წელია, რაც შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი – პოლარიზებული პოლიტიკური გარემო – არ იცვლება. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ქართული მეინსტრიული მედიაგარემო ერთპოლუსიანიდან ორპოლუსიანი წესრიგისაკენ გადაიხარა. დღეისათვის ქართული მედიასისტემა გარკვეულწილად ჰგავს ჰელინისა და მანჩინის მიერ აღწერილ პოლარიზებული პლურალიზმის მოდელს (2004), რომელიც ხასიათდება პრესის გავრცელების დაბალი დონით, მეინსტრიულ მედიაში პოლიტიკური პარალელიზმის მაღალი ხარისხითა და პროფესიონალურ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემებით. პოლიტიკური პარალელიზმი, რომელიც ამ სტატიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნებაა, გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მედიის მიერ ახალი ამბების გაშუქება ირეკლავს ზოგად პოლიტიკურ სისტემას ქვეყანაში, ხოლო მედიაორგანიზაციები არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან ახდენენ საკუთარი თავის ასოცირებას.

მედიასისტემების კლასიფიკაციის ჰელინისა და მანჩინისეულ მეთოდს სხვადასხვა მიზეზით აკრიტიკებენ ხოლმე, მათ შორის, დასავლურ დემოკრატიებზე ზედმეტი ფოკუსირების, თანამედროვე მედიატექნოლოგიების გაუთვალისწინებლობისა და რეალობის ზედმეტად გამარტივების გამო (Hardy, 2012; Hallin and Mancini, 2012). როგორც ვოლტმერი (2012) აღნიშნავს, იმისათვის, რომ დასავლური დემოკრატიების მიღმა არსებული კომპლექსური მე-

დიასისტემები სრულად მოვიხელთოთ, საჭიროა ჰელინისა და მანჩინის ანალიტიკური კატეგორიების განვრცობა. მას შემოაქვს „ჰიბრიდული“ ცნება, დემოკრატიზაციის „მესამე ტალღის“ პერიოდში წარმოშობილი მედიასისტემების აღსაწერად (იქვე). მაგალითად, დობეკ-ოსტროვსკა (2012) ამტკიცებს, რომ პოლონეთი წარმოადგენს პოლარიზებული პლურალიზმისა და ლიბერალური მოდელის ჰიბრიდს, დემოკრატიულ-კორპორატისტული კატეგორიის ცალკეული ელემენტებით. ანალოგიურად, ქართულ მედიასისტემაზეც შეიძლება ითქვას, რომ ის სრულად არ თანხვდება პოლარიზებული პლურალიზმის მოდელს და ჰიბრიდული მოდელისაკენ იხრება, სწრაფად მზარდ ციფრულ მედიაში დემოკრატიული ტენდენციების, მედიის თვითრეგულირების ინსტიტუციონალიზებისა და მზარდი კომერციალიზაციის გამო, რაც, როგორც წესი, ლიბერალური მოდელისთვის არის დამახასიათებელი.

ამ სტატიაში აღწერილი იქნება პოლიტიკური პარალელიზმი, რომელსაც საქართველოში არსებული ამჟამინდელი მედიასისტემა აირეკლავს. ჩვენი მიზანია, რომ ამ გზით უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ როლი, რომელსაც მედიაორგანიზაციები ასრულებენ პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს შექმნაში. სტატიაში, თავდაპირველად, აღწერილია 2012 წლიდან მოყოლებული სამთავრობო და ოპოზიციური მედიაპოლუსების ჩამოყალიბების პროცესი, შემდგომ კი, განხილულია, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული საკითხები საარჩევნო პოლიტიკური სპეკულაციების საგნად იქცეს, მედიის მიერ ამბების პოლარიზებული გაშუქების გამო. ჩვენს ფოკუსში ხვდება ყველაზე გავლენიანი ტელეარხები, რომლებსაც ამ სტატიაში

მეინსტრიმულ მედიად მოვიხსენიებთ, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის სრული უმეტესობისათვის (69%) ტელევიზია მთავარი საინფორმაციო წყაროა (Caucasusbarometer.org, 2019).

სამთავრობო და ოპოზიციური მედიაპოლუსების ჩამოყალიბება

ვიდრე განვიხილავთ კონკრეტულ შემთხვევებს, სადაც ცხადად ჩანს მედიების დაყოფა პოლიტიკური პარტიების ნიშნით, მნიშვნელოვანია, რომ აღვწეროთ საქართველოს მედიალანდშაფტზე ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენები. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ყოფილ სამთავრობო პარტიას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (ენმ) პირდაპირი და მძლავრი გავლენა ჰქონდა სამივე ეროვნულ მაუწყებელსა („რუსთავი 2“-ზე, „იმედსა“ და საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე) და რეგიონულ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე (Eurasia Partnership Foundation, 2012). ხოლო 2012 წლიდან მოყოლებული, მომსწრენი გავხდით მეინსტრიმული მედიის ოპოზიციური თუ ნეიტრალური პოზიციებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ სამთავრობო ორბიტაზე გადანაცვლების. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების როლი კი ამ პროცესში განსაკუთრებით საზიანო იყო.

მოვლენათა მთელ ჯაჭვში, პირველი ნაბიჯი იყო ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნება გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისათვის, რომელმაც ტელეკომპანია 2003 წელს დააფუძნა (Coalson, 2012). 2008 წელს ენმ-ის ხელისუფლებამ კომპანიის მფლობელობა პატარკაციშვილს ძალის გამოყენებით ჩამოართვა, რადგან „იმედი“ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის კრიტიკის მთავარ წყაროდ იქცა. 2016 წელს, ენმ-ისადმი კრიტიკულად განწყობილი კიდევ ორი ტელევიზია – „მანეტრო“ და GDS – შეუერთდა „იმედი მედია ჰოლდინგს“. GDS საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ოჯახმა დააფუძნა. 2020 წლის რეიტინგების მიხედვით, „იმედი“ ყველაზე პოპულარული ტელევიზია იყო ქვეყანაში, საშუალოდ, აუდიტორიის 22.66%-იანი წილით (Nielsen Television Audience Measurement, 2021).

აღნიშნულ პროცესში შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენდა სამთავრობო გავლენის განმტკიცება საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ვასილ მალლაფერიძის, „ქართული ოცნების“ კოალიციის გულითადი მხარდამჭერის, გენერალური დირექტორის პოსტზე დანიშვნის უზრუნველყოფით. 2017 წლამდე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, როგორც მედიაორგანიზაციაში, დადებითი დინამიკა შეიმჩნეოდა დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკისა და პოლიტიკური გავლენებისაგან გათავისუფლების თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ 2021 წელს პოსტის დატოვების შემდეგ, მალლაფერიძე „ქართული ოცნების“ პოლი-

ტიკური საბჭოს წევრი გახდა, რითაც ფაქტობრივად კიდევ ერთხელ დაადასტურა მთავრობისადმი საკუთარი ლოიალურობა.

2017 წელს, რამდენიმეწლიანი სამართლებრივი დავის შემდეგ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ენმ-თან დაკავშირებული მეპატრონეების წინააღმდეგ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო არხის ყოფილი მფლობელის ქიზარ ხალვაშის სასარგებლოდ (Agenda.ge, 2017). ხალვაში ამტკიცებდა, რომ 2006 წელს სააკაშვილის მთავრობამ მას ძალით დაათმობინა კუთვნილი წილები „რუსთავი 2“-ში. რამდენიმეწლიანი პროტესტისა და საზოგადოებრივი აღშფოთების შემდეგ, ჟურნალისტების ძირითადმა გუნდმა დატოვა ტელევიზია, რის შედეგადაც მედიაორგანიზაცია მთავრობისადმი ნაკლებად კრიტიკული გახდა. მიუხედავად აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვისა, „რუსთავი 2“ ქვეყანაში მე-3 ყველაზე ყურებად არხად რჩება, საშუალოდ აუდიტორიის 10.52%-იანი წილით (Nielsen Television Audience Measurement, 2021).

მეინსტრიმულ მედიაში მართვასთან დაკავშირებული ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება იყო აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის პოზიციიდან ნათია კაპანაძის გათავისუფლება. კაპანაძის მენეჯმენტის პირობებში ტელევიზიამ, რომელიც ისტორიულად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან იყო დაკავშირებული, მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა სარედაქციო დამოუკიდებლობისა და ჟურნალისტური ხარისხის თვალსაზრისით (OSCE/ODIHR, 2020). მიუხედავად პოზიტიური დინამიკისა, აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭომ კაპანაძე დაითხოვა და დანიშნა ახალი, „ქართული ოცნების“ მთავრობისადმი სიმპათიებით განმსჭვალული დირექტორი (Transparency.ge, 2021).

ქართული მედიალანდშაფტის ოპოზიციურ სპექტრში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული სამი ტელეკომპანია გვხვდება. ტელეკომპანია „მთავარი“ 2019 წელს დააარსეს „რუსთავი 2“-დან წამოსულმა ჟურნალისტებმა და მენეჯერებმა უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ. „მთავარი“ რიგით მეორე ყველაზე პოპულარული ტელევიზიაა ქვეყანაში აუდიტორიის 12.4%-იანი წილით (Nielsen Television Audience Measurement, 2021). არხის გენერალური დირექტორი კი ენმ-ის ხელისუფლების დროს ყოფილი იუსტიციისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამიაა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გვარამია მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე გულმზურვალე კრიტიკოსად რჩება და „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებზე თავდასხმის მიზნით შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გამონათქვამების გამო ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი.

„ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის დროინდელი კიდევ ერთი ყოფილი მინისტრი, დავით კეზერაშვილი, ფლობს 51%-ს ტელეკომპანია „ფორმულაში“, რომელიც ასევე „რუსთავი 2“-დან წამოსულმა ჟურნალისტებმა, მენეჯერებმა და ტელესახეებმა დააფუძნეს.

ოპოზიციურ მედიასპექტრში მორიგი მნიშვნელოვანი აქტორია ტელეკომპანია „პირველი“, რომელიც 2015 წელს დაარსდა როგორც სპორტული მაუწყებლობა, თუმცა მოგვიანებით ზოგადი მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო, რამაც არხს საშუალება მისცა, საეთერო ბადეში ახალი ამბები და სოციალურ-პოლიტიკური ტოქშოუები ჩაესვა. მიუხედავად იმისა, რომ არხის მფლობელს ვახტანგ წერეთელს პირდაპირი აფილაციები არ ჰქონდა რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან, მისი ოჯახის წევრები გავლენიანი ბიზნესმენების პარტნიორები იყვნენ, რომლებმაც არც ისე დიდი ხნის წინ ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ლელო“ დააფუძნეს. ბოლო ხანებში, ტელეკომპანია „პირველი“ მნიშვნელოვან ოპოზიციურ მედიად იქცა და სხვადასხვა გამოცდილების მქონე ჟურნალისტები, მათ შორის, ტელეკომპანია „მთავარის“ ყოფილი თანამშრომლები დაიმატა.

ეს მოკლე მიმოხილვა მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ აღწერს საქართველოს მედიალანდშაფტს. მაგალითად, არსებობს შედარებით მცირე ანდა ახლად დაარსებული ტელევიზიები, როგორებიცაა „კავკასია“ (შეზღუდული რესურსების მქონე ოპოზიციური ტელევიზია), ტვ „ობიექტივი“ (რომელიც ულტრაკონსერვატიულ პოლიტიკურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან“ არის აფილირებული) ანდა „პოს ტვ“ (რომელიც დააარსეს და რომელსაც მართავენ „ქართული ოცნების“ მთავრობასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ჟურნალისტები და ყოფილი პოლიტიკოსები). გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ასევე არსებობს ციფრული მედიასაშუალებები, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებელ მედიაორგანიზაციებს წარმოადგენენ და თავს ძლივს ირჩენენ საერთაშორისო ფონდების დახმარებით. თუმცა, აღნიშნულ მედიაორგანიზაციებს შეზღუდული წვდომა აქვთ აუდიტორიაზე. მათმა მუშაობამ შესაძლოა დროდადრო გავლენა მოახდინოს უფრო დიდი მედიების დღის წესრიგზე, თუმცა ისინი ნამდვილად ვერ ცვლიან ზოგად სურათს.

ქართული მედიაეკოსისტემის შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მთავრობის უუნარობისა, დაემყარებინა სრული კონტროლი მედიაზე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებს გამუდმებით შეაქვთ წვლილი ჟურნალისტებისათვის მტრული გარემოს შექმნაში. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერი დაჟინებით აზრალეზდა ოპოზიციურ მედიას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის ჩავარდნას. შედეგად, მედიის მისამართით არსებული

პოლიტიკურად მოტივირებული აგრესია მთელ საზოგადოებას გადაედო.

2021 წლის 5 ივლისს, ანტილიბერალურმა ჯგუფებმა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა დემონსტრაცია გამართეს ამ დღეს დაგეგმილი „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ქუჩაში გამოსული ქვიარ აქტივისტებს ვერსად მიაგნეს, დემონსტრანტებმა, საბოლოოდ, იერიში მიიტანეს ათეულობით ჟურნალისტზე სხვადასხვა მედიასაშუალებიდან. საერთო ჯამში, 50-ზე მეტმა რეპორტიორმა მიიღო სხვადასხვა ტიპის დაზიანება, ხოლო ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორი თავზე მიყენებული ქრილობების შემდეგ ორ დღეში გარდაიცვალა (Committee to Protect Journalists, 2021). არასათანადო დამცავი ზომების მიღების გამო, საქართველოს მთავრობა მკაცრად გააკრიტიკეს ადგილობრივმა და საერთაშორისო უფლებადამცველებმა, რითაც არაპირდაპირი პასუხისმგებლობა ჟურნალისტებზე განხორციელებულ სასტიკ თავდასხმებზე მთავრობას დაეკისრა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს დღე იქცა საქართველოში გაუარესებული მედიაგარემოს ერთგვარ სიმბოლოდ. ბოლო ხანებში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, „მედიაში დასაქმებულთა 78 % ამბობს, რომ 2021 წელს 2020 წელთან შედარებით მედიაგარემო გაუარესდა“, „რესპონდენტთა 63 % კი ამბობს, რომ მედიაში დასაქმებული პირების უსაფრთხოება საერთოდ ან უმეტესწილად დაცული არ არის“ (Mcerc.ge, 2021).

მედიის ჩარჩოს მიღმა

როგორც ემპირიული კვლევები ცხადყოფს, ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდება ჰიბრიდული მედიასისტემებითა და მედიებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის პარალელიზმით, საარჩევნო კამპანიების დროს მედიაორგანიზაციებში შიდა პლურალიზმის დონე იკლებს (Çarkoğlu, Baruh and Yıldırım, 2014). საქართველოში, პოლიტიკური დაძაბულობა მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო პერიოდით ნამდვილად არ შემოიფარგლება. თუმცა, წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდებში მედიაორგანიზაციები კიდევ უფრო ნაკლებ ძალისხმევას დებენ პროფესიული სტანდარტებისა და მალალხარისხიანი ჟურნალისტის წესების დაცვაში (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2018). პიროვნული თავდასხმები და მოვლენების არაეთიკური გაშუქება კიდევ უფრო ხშირდება, ხოლო მიჯნა პარტიულ პოლიტიკასა და მედიის მუშაობას შორის უფერულდება.

როგორც რობაქიძე აღნიშნავს, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა საქართველოში „წარმოაჩინა მედიის პოლარიზაციის ნეგატიური გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და მედიის მრავალფეროვნების მნიშვნელობა ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარებისთვის“ (2019,

გვ.2). არჩევნების პირველ ტურში ვერც სალომე ზურაბიშვილმა, დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რომელსაც ზურგს „ქართული ოცნება“ უმაგრებდა და ვერც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, გრიგოლ ვაშაძემ ვერ მოახერხა ხმათა 50%-ზე მეტის მიღება. შესაბამისად, ახალი პრეზიდენტის ასარჩევად მეორე ტურის გამართვა გახდა საჭირო. პირველი ტურის შემდეგ კანდიდატებს შორის სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ 2% იყო. „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებისათვის ენმ-ის კანდიდატი ზედმეტად ახლოს იყო გამარჯვებასთან და, შესაბამისად, მთელი თავიანთი რესურსის, მათ შორის მედიარესურსის მობილიზება გადაწყვიტეს, რათა გამარჯვება ზურაბიშვილს დარჩენოდა. „ქართული ოცნების“ მთავარმა მედიამოკავშირემ, ტელეკომპანია „იმედმა“ საინტერესო განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც მაყურებელს ატყობინებდა, რომ წინასაარჩევნოდ საგანგებო რეჟიმზე გადადიოდა. „ტელეკომპანია „იმედმა“ და მისმა მფლობელებმა საკუთარ თავზე იწვენიეს რას ნიშნავს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“. ამიტომ „იმედი“ წინასაარჩევნოდ ცვლის საეთერო ბადეს და ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ არ დაბრუნდეს რეჟიმი“ – აღნიშნული იყო განცხადებაში (Agenda.ge 2018). ამ განცხადებით „იმედმა“ პრაქტიკულად აღიარა, რომ გამიზნულად აპირებდა მედიასტანდარტების იგნორირებას.

ამავდროულად, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ოპოზიციური ტელეარხი „რუსთავი 2“ და არხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია გამუდმებით თავს ესხმოდნენ „ქართული ოცნების“ ფავორიტ კანდიდატ ზურაბიშვილს, ხშირად გადადიოდნენ ეთიკური და პროფესიული სტანდარტების ზღვარს მიღმა და ავრცელებდნენ ჭორებს მის პირად ცხოვრებასა და ურთიერთობებზე. მანვე წამოიწყო „წიწაკის გამოწვევა“, რომლითაც ცდილობდა ჩვენებას, რომ ერჩივნა განსაკუთრებით ცხარე წიწაკის ჭამით გამწარებულყო, ვიდრე ზურაბიშვილი გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი. „ჩემს პირში ახლა კატასტროფა ხდება. თუ ეს მოლაღატე გახდება პრეზიდენტი, ჩვენს ქვეყანასაც იგივე ელის“, – აღნიშნავდა გვარამია თავის ტოქშოუში (Demytrie 2018).

პოლიტიკოსებზე ნაკლებად პერსონიფიცირებული, თუმცა გაცილებით უფრო რადიკალურად პოლარიზებული იყო მედიაგარემო საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა პოლიტიკური დაძაბულობა და პარალელიზმის დონე მედიებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. „პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულაციის შემთხვევების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა, ტელეარხები ხშირად არ იცავდნენ ბალანსს და ავრცელებდნენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას“, – აღნიშნული იყო წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიშში (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2020).

არჩევნების პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე გამაშურებელი თემა, სერიოზული პოლიტიკური ურთიერთბრალდებებითა და ნაციონალისტური და რელიგიური სენტიმენტების მანიპულირებით, იყო ე.წ. კარტოგრაფების საქმე. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის დემარკაციის კომისიაში მომუშავე ორი ექსპერტი დააკავეს (Civil.ge, 2021). პროკურატურამ მათ ბრალი წაუყენა ენმ-ის მთავრობის დროს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ გაწეულ საქმიანობაში, რომლის შედეგადაც შეიქმნა საფრთხე, რომ დაახლოებით 3 500 კმ² ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი საქართველოს ნაცვლად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოექცეს. მიწა ნაწილობრივ ფარავს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვან სულიერ ცენტრს წარმოადგენს.

„კარტოგრაფების საქმესთან“ დაკავშირებული პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფრონტის საზი სამთავრობო და ოპოზიციური ტელეარხების ეკრანებზე გადიოდა. ამათგან უკანასკნელი მაყურებლებს არწმუნებდა, რომ ეს საქმე უბრალო წინასაარჩევნო მანიპულაცია იყო მთავრობის მხრიდან ენმ-ის და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ელექტორატის მობილიზებისათვის. პარალელურად კი, სამთავრობო გაკლენების ქვეშ მყოფი ტელეარხები სისტემატურად ცდილობდნენ დისკურსის შექმნას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ანტიეროვნული, ანტირელიგიური პარტია იყო, რომელიც ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს იდენტობასა და ეროვნულ ინტერესებს. ტელეკომპანია „იმედმა“ ცხადად აჩვენა, რომ ისინი მედიის წესებს არ ემორჩილებოდნენ; არჩევნების დღეს არხის მაყურებელს ეკრანზე პატარა სლოგანი დახვდებოდა კუთხეში – „გარეჯი საქართველოა“ – რომლის მიზანიც ნაციონალისტური და რელიგიური სენტიმენტების გაძლიერება იყო.

დასკვნა

მეინსტრიმული მედია საქართველოში სარკისებურად იმეორებს მთავარი პოლიტიკური მოთამაშეების იდეოლოგიებს. ერთი მხრივ, სახეზეა სამთავრობო პოლუსი, რომელსაც რამდენიმე ტელევიზია წარმოადგენს (მაგ. „იმედი“, „მაცსტრო“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, „პოს ტვ“ და უკვე „რუსთავი 2“). მეორე მხრივ, არსებობენ ოპოზიციური ტელეკომპანიები (მაგ. „მთავარი“, „ფორმულა“, ტვ „პირველი“ და „კავკასია“). ამ სტატიის შეზღუდვებიდან გამომდინარე, ჩვენ ფოკუსი მხოლოდ და მხოლოდ მსხვილ ტელეკომპანიებზე გვაკეთეთ. თუმცა, გადაჭარბებული არ იქნებოდა, თუკი ვიტყვი, რომ მეინსტრიმული მედიაორგანიზაციები იქცევიან როგორც პოლიტიკური პარტიების პირდაპირი დამატებები, მათი საეთერო ბადე კი ცხადად ირეკლავს ზემონახსენებ

პოლიტიკური აქტორების დღის წესრიგს.

მეტიც, პოლიტიკურ და მედიააქტორებს შორის ურთიერთმიმართება კომპლექსურია და მზარდ მედიაპოლარიზაციაზე პასუხისმგებლობა ორივე მათგანს ეკისრება. „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობისგან განსხვავებით, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო მეინსტრიმული მედიალანდშაფტის მონოპოლიზება, თუმცა წამყვანი მედიაორგანიზაციები ცალკეული პოლიტიკური პარტიების ახლო მოკავშირეებად რჩებიან. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამყარებს პარტიულ პოლიტიკასა და მედიის მუშაობას შორის წაშლილი საზღვრები. ჟურნალისტები და მედიასახე-

ები აღარ ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური პრეფერენციების დაფარვას და ღიად მოქმედებენ როგორც პოლიტიკური აქტორები. ცოტა ხნის წინ, ოპოზიციურმა ჟურნალისტებმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციასაც კი გაუკეთეს ორგანიზება (Tsaava, 2021). მიუხედავად ცდუნებისა, ქართული მედიის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენებაში მხოლოდ მთავრობა ან რომელიმე ცალკეული პარტია დავადასაშულოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად მედია გვევლინება პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს არა მხოლოდ მსხვერპლად, არამედ თანაშემემქმნელად.

ავტორის შესახებ

ლაშა ქავთარაძე არის ბერგენის უნივერსიტეტისა და კრისტიანიის საუნივერსიტეტო კოლეჯის დოქტორანტი. ქავთარაძეს მაგისტრის ხარისხი მიღებული აქვს ციფრული მედიისა და საზოგადოების განხრით უფსალის უნივერსიტეტისაგან და პროფესიული გამოცდილება მიღებული აქვს ჟურნალისტიკასა და მედიაკვლევებში. დოქტორანტურამდე იგი მუშაობდა მედიაანალიტიკოსად და თანამშრომლობდა მედიაკრიტიკის სხვადასხვა პლატფორმასთან საქართველოში.

ბიბლიოგრაფია:

- Agenda.ge, 2017. *Supreme Court: Rustavi 2 belongs to ex-shareholder Kibar Khalvashi*. [online] Agenda.ge. Available at: <<https://agenda.ge/en/news/2017/399>> [Accessed 15 July 2021].
- Agenda.ge. 2019. *TV Imedi announces emergency pre-election regime*. [online] Available at: <<https://agenda.ge/en/news/2018/2280>> [Accessed 15 July 2021].
- Çarkoğlu, A., Baruh, L. and Yıldırım, K., 2014. Press-Party Parallelism and Polarization of News Media during an Election Campaign. *The International Journal of Press/Politics*, 19(3), pp.295-317.
- Caucasusbarometer.org, 2019. *NDI: Public attitudes in Georgia, November-December 2019*. [online] Caucasusbarometer.org. Available at: <<https://caucasusbarometer.org/en/nn2019ge/INFSOUF1/>> [Accessed 15 July 2021].
- Coalson, R., 2012. *Georgia's Media Landscape Shifts In Wake Of Historic Election*. [online] RadioFreeEurope/RadioLiberty. Available at: <<https://www.rferl.org/a/georgia-media-landscape-continues-to-follow-politics/24742838.html>> [Accessed 15 July 2021].
- Committee to Protect Journalists. 2021. *Georgian camera operator Aleksandre Lashkarava dies after beating by anti-LGBT demonstrators*. [online] Available at: <<https://cpj.org/2021/07/georgian-camera-operator-aleksandre-lashkarava-dies-after-beating-by-anti-lgbt-demonstrators/>> [Accessed 29 August 2021].
- Demytrie, R., 2021. *Chilli challenge spices up Georgian presidential vote*. [online] BBC News. Available at: <<https://www.bbc.com/news/world-europe-45902014>> [Accessed 15 July 2021].
- Dobek-Ostrowska, B., 2012. 3 Italianization (or Mediterraneanization) of the Polish Media System? Reality and Perspective. In: D. Hallin and P. Mancini, ed., *Comparing Media Systems Beyond the Western World*, 1st ed. New York,: Cambridge University Press.
- Eurasia Partnership Foundation, 2012. *The Georgian Media: Popular Assessments and Development Perspectives*. [online] Tbilisi: Eurasia Partnership Foundation. Available at: <https://epfound.ge/resources/the-georgian-media-_popular-assessments-and-development-perspectives-2012/> [Accessed 15 July 2021].
- Georgian Charter of Journalistic Ethics, 2018. *Interim Report on Election Monitoring of TV News*.

Media Monitoring for 2018 Presidential Elections in Georgia. [online] Tbilisi. Available at: <http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/mediamonitoringi/News-Monitoring_Interim_ENG.pdf> [Accessed 15 July 2021].

- Georgian Charter of Journalistic Ethics, 2020. *Pre-Election Report on Monitoring of TV News Programmes Key Findings*. Study and Research on Media Coverage of 2020 Parliamentary Elections in Georgia. [online] Tbilisi, pp.3-4. Available at: <http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/2020-12-18_TV_NEWS_FINAL_ENG.pdf> [Accessed 15 July 2021].
- Hallin, D. and Mancini, P., 2004. *Comparing media systems*. Cambridge: Cambridge University Press.
- Hallin, D. and Mancini, P., 2012. Comparing Media Systems – A Response to Critics. In: F. Esser and T. Hanitzsch, ed., *Handbook of comparative communication research*, 1st ed. New York,: Routledge.
- Hardy, J., 2012. Comparing Media Systems. In: F. Esser and T. Hanitzsch, ed., *Handbook of comparative communication research*, 1st ed. New York,: Routledge.
- Mcerc.ge. 2021. *Presentation: “Pre-election media environment: threats, expectations, recommendations”*. [online] Available at: <<https://www.mcerc.ge/post/presentation-pre-election-media-environment-threats-expectations-recommendations>> [Accessed 29 August 2021].
- Nielsen Television Audience Measurement, 2021. *TVMR – Nielsen Television Audience Measurement’s Official License*. [online] Tvmr.ge. Available at: <<https://bit.ly/3y7ggnQ>> [Accessed 15 July 2021].
- OSCE/ODIHR, 2020. *Georgia, Presidential Election, 28 October and 28 November 2018: Final Report*. [online] Organization for Security and Co-operation in Europe. Available at: <<https://www.osce.org/odihr/elections/georgia/412724>> [Accessed 15 July 2021].
- Robakidze, N., 2019. *Political Polarization and Media: Threats to the Democratic Process in Georgia*. [online] Tbilisi: Georgian Institute of Politics. Available at: <<http://gip.ge/political-polarization-and-media-threats-to-the-democratic-process-in-georgia/>> [Accessed 15 July 2021].
- Transparency.ge, 2021. Timeline of Georgian Dream’s Efforts to Seize Adjara TV. [online] Transparency International – Georgia. Available at: <<https://transparency.ge/en/blog/timeline-georgian-dreams-efforts-seize-adjara-tv>> [Accessed 15 July 2021].
- Tsaava, M., 2021. *“Today we are the main target” – Georgian journalists found themselves at the forefront of political struggle*. [online] Jamnews. Available at: <<https://jam-news.net/today-we-are-the-main-target-georgian-journalists-found-themselves-at-the-forefront-of-political-struggle/>> [Accessed 26 July 2021].
- Voltmer, K., 2012. How Far Can Media Systems Travel? Applying Hallin and Mancini’s Comparative Framework outside the Western World. In: D. Hallin and P. Mancini, ed., *Comparing Media Systems Beyond the Western World*, 1st ed. New York,: Cambridge University Press.